სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №295/01-01, 26/11/2025 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის და 2026 წლის 22 იანვარი №1/2026 თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი (შემაჯამებელი) №3

ქ. თბილისი

29 იანვარი, 2026 წელი
დრო: 13.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: *თსუ-ს ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ბ. რამიშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), თსუ-ს ასოცირებული პროფესორი თ. მელქოშვილი (მდივანი), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი თ. ბაბუნაშვილი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი მ. მაისურაძე.*

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №295/01-01, 26/11/2025 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე - მიკროეკონომიკის კათედრა - ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული, კატეგორია „ბ"; გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა - ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული, კატეგორია „ა" და ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათდრის ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული, კატეგორია „ბ" - აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარება და კონკურსის შედეგების შეჯამება.

კომისიის თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, **ასოცირებული პროფესორის მარინა ჩავლეიშვილის** ინფორმაცია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის **№295/01-01, 26/11/2025** ბრძანებით გამოცხადებული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში - **მიკროეკონომიკის კათედრა - ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული, კატეგორია „ბ“; გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა - ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული, კატეგორია „ა“ და ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის ასისტენტ-პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეული, კატეგორია „ბ“** - გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრის ჩატარებისა და კონკურსის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებით. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გამოცხადებულ ვაკანსიებზე კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად, დამტკიცებული პროცედურების შესაბამისად. კომისიის წევრების მიერ შედეგების გაანალიზების საფუძველზე საჭიროა განხორციელდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №295/01-01, 26/11/2025 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ფარული კენჭისყრა და კონკურსის შედეგების შეჯამება.

ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოსავლენად ფარული კენჭისყრა უნდა ჩატარდეს საკონკურსო აკადემიური თანამდებობის მიხედვით:

- **მიკროეკონომიკის კათედრა - ასისტენტ-პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული, კატეგორია „ბ“**
- **გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა - ასისტენტ-პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული, კატეგორია „ა“**
- **ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა - ასისტენტ-პროფესორი 1 (ერთი) საშტატო ერთეული, კატეგორია „ბ“**

გამოცხადებულ კონკურსში, ყველა მიმართულებით, მონაწილეობდა 3 (სამი) კონკურსანტი. კომისიის გადაწყვეტილებით პრეტენდენტის სტატუსი მიენიჭა 3 (სამ) კონკურსანტს.

კომისიის თავმჯდომარემ, **ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა** კომისიის წევრებს გააცნო თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებით „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ განსაზღვრული ხმის მიცემის პროცედურა.

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა მ. ჩავლეიშვილმა (კომისიის თავმჯდომარე), თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა ბ. რამიშვილმა (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა თ. მელქოშვილმა (მდივანი), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა თ. ბაბუნაშვილმა, თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა მ. მაისურაძემ.

გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიამ ჩაატარა კენჭისყრის პროცედურა:

კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის მიერ დამზადდა 5 ბიულეტენი (კომისიის წევრების რაოდენობის (5 წევრი) შესაბამისად 15), სადაც აისახა შესაბამისი მიმართულების საკონკურსო აკადემიური პოზიციის დასაკავებლად არსებული პრეტენდენტის სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო მონაცემები. ბიულეტენების სისწორე დადასტურდა სხდომაზე კომისიის წევრთა ხელმოწერებით. დამატებითი ბიულეტენი არ დამზადებულა. კომისიის წევრებმა თავისი არჩევანი უნდა დააფიქსირონ ბიულეტენზე სასურველი კანდიდატის შემოხაზვით და საარჩევნო ყუთში მოთავსებით.
კომისიამ უზრუნველყო ხმის ფარულად მიცემისათვის აუცილებელი პირობები და საარჩევნო ყუთი. საარჩევნო ყუთი შემოწმდა კომისიის წევრების მიერ კენჭისყრის დაწყებამდე. საარჩევნო კომისიის წევრები დარწმუნდნენ, რომ ყუთი იყო ცარიელი. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი დაილუქა კომისიის წევრთა მიერ და დამოწმდა მათივე ხელმოწერებით. საარჩევნო ყუთი განთავსდა სხდომის ოთახში თვალსაჩინო ადგილას.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკონკურსო კომისიის სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ დალუქული საარჩევნო ყუთი გაიხსნა და კომისიის წევრებმა დათვალეს პრეტენდენტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

ფარული კენჭისყრის შედეგი:

- **მიკროეკონომიკის კათედრა** - ასისტენტ-პროფესორი 1(ერთი) საშტატო ერთეული, კატეგორია „ბ“
  ლობჟანიძე ნინო - მიღებული ხმების რაოდენობა 5.
  დაადგინეს: მიკროეკონომიკის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადდა **ლობჟანიძე ნინო**

- **გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა** - ასისტენტ-პროფესორი 1(ერთი) საშტატო ერთეული, კატეგორია „ა“
  ფირცხალაიშვილი დეა - მიღებული ხმების რაოდენობა 5.
  დაადგინეს: გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადდა **ფირცხალაიშვილი დეა**

- **ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათდრა** - ასისტენტ-პროფესორი 1(ერთი) საშტატო ერთეული, კატეგორია „ბ“
  ტიკიშვილი მზია - მიღებული ხმების რაოდენობა 5.
  დაადგინეს: ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრაზე გამარჯვებულად გამოცხადდა **ტიკიშვილი მზია**

მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი

მიღებული გადაწყვეტილების საფუძველია კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კონკურსანტების გასაუბრების შედეგები. შეფასებები აისახა თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებით ,,სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ დანართში №4 კატეგორიის შესაბამისად. აღნიშნული შეფასება დეტალურად ასახულია საკონკურსო ოქმში №1 (26 იანვარი 2026 წელი) თანდართულ კონკურსანტის შეფასების ანკეტებში, ხოლო გასაუბრების შედეგები წარმოდგენილია კომისიის ოქმში №2 (29 იანვარი 2026 წელი). მიღებული შეფასებების საფუძველზე პრეტენდენტების გამარჯვება განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა:

ლობჟანიძე ნინო - საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ პრეტენდენტს აქვს პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება, ასევე აქტიურად ახორციელებს სასწავლო-მეთოდურ საქმიანობას, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე მონაწილეობას, საგრანტო პროექტებში მონაწილეობას, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობას. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში. წარმოდგენილი სასწავლო კურსები, სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. კონკურსანტის ინფორმაცია დამატებით საქმიანობასთან მიმართებაში მრავალმხრივია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი აქტიური საქმიანობა სასწავლო-პედაგოგური მიმართულებით, იგი აქტიურად არის ჩართული პროექტში erasmus+ ფარგლებში, როგორც აკადემიური პერსონალი. გასაუბრების ეტაპმა გამოავლინა პრეტენდენტის მეცნიერული კვლევის, მსჯელობის და ანალიტიკური აზროვნების დონე, დასმულ შეკითხვებზე პასუხები იყო დასაბუთებული. საკონკურსო კომისიამ მიიჩნია, რომ მისი არჩევა აღნიშნულ აკადემიურ თანამდებობაზე ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას და თსუ-ს შემდგომ წინსვლას და განვითარებას.
საკონკურსო კომისიამ გაითვალისწინა ნ. ლობჟანიძის პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევები და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება ვაკანტური თანამდებობის დასაკავებასთან დაკავშირებით.

ფირცხალაიშვილი დეა - საკონკურსო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ პრეტენდენტს აქვს პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება, ასევე აქტიურად მონაწილეობს: სასწავლო-მეთოდურ საქმიანობაში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და საგრანტო

პროექტებში. თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან. აქვს სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში. წარმოდგენილი სასწავლო კურსები, სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. გამოიკვეთა კონკურსანტის აქტიური საქმიანობა სასწავლო-პედაგოგური მიმართულებით, კერძოდ, erasmus+ ფარგლებში მის მიერ წაკითხული (ინგლისურ ენაზე) სასწავლო კურსებით. ასევე, იგი არის პროგრამის ხელმძღვანელი (მაგისტრატურა აღმასრულებელი EMBA პროგრამა). გასაუბრების ეტაპმა გამოავლინა პრეტენდენტის მეცნიერული კვლევის, მსჯელობის და ანალიტიკური აზროვნების დონე, დასმულ შეკითხვებზე პასუხები იყო დამაჯერებელი. კომისიამ მიიჩნია, რომ იგი ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას და თსუ - ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას.

საკონკურსო კომისიამ გაითვალისწინა დ. ფირცხალაიშვილის პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევები და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება ვაკანტური თანამდებობის დასაკავებასთან დაკავშირებით.

ტიკიშვილი მზია - კონკურსანტს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია - განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, ხანგრძლივი სამსახურებრივი და პედაგოგიური გამოცდილება, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, სასწავლო კურსების სილაბუსები სრულ შესაბამისობაშია ვაკანსიის პროფილთან. შესაფასებლად წარმოდგენილი ნაშრომი ასახავს პრეტენდენტის სამეცნიერო კვლევის სფეროს სიღრმისეულ ანალიზს. კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში. სამოტივაციო წერილის დიდი ნაწილი ეთმობა მის გამოცდილებას, საქმიანობის სამომავლო ხედვას და შეფასდა დადებითად. გასაუბრების ეტაპმა გამოავლინა პრეტენდენტის მეცნიერული კვლევის, მსჯელობის და ანალიტიკური აზროვნების დონე, დასმულ შეკითხვებზე პასუხები იყო სრულყოფილი. კომისიამ მიიჩნია, რომ კონკურსანტის დამატებით საქმიანობასთან დაკავშირებული აქტივობები ხელ შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას.

საკონკურსო კომისიამ გაითვალისწინა მ. ტიკიშვილის პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევები და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება ვაკანტური თანამდებობის დასაკავებასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა მ. ჩავლეიშვილმა (კომისიის თავმჯდომარე), თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა ბ. რამიშვილმა (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა თ. მელქოშვილმა (მდივანი), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა თ. ბაბუნაშვილმა, თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა მ. მაისურაძემ.

დაადგინეს: 1.1. საკონკურსო კომისიამ იმსჯელა მის მიერ გაწეული სამუშაოს თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების (,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის

სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“) შესაბამისად და დაადგინა, რომ სამუშაოები განხორციელდა მოქმედი რეგულაციის შესაბამისად;

1.2. თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების („სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“) შესაბამისად (დანართი 1, მე-8 მუხლი, მე-9 პუნქტი) შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებ-გვერდზე და განთავსდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე;

1.3. თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების („სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“) შესაბამისად (დანართი 1, მე-8 მუხლი, მე-9 პუნქტი) შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმი საკონკურსო-სააპელაციო კომისიაში. პრეტენდენტმა საჩივარი უნდა ჩააბაროს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, 0186, უნივერსიტეტის ქუჩა #2 (თსუ მე-10 კორპუსი), ოთახი #310.

კომისიის წევრების ხელმოწერა:

კომისიის თავმჯდომარე /ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე /ასოცირებული პროფესორი ბ. რამიშვილი/

კომისიის წევრები:

/საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი თ. ბაბუნაშვილი/

/ასოცირებული პროფესორი მ. მაისურაძე/

კომისიის მდივანი /ასოცირებული პროფესორი თ. მელქოშვილი/

29.01.2026